მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვჰოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 22 **1883—1893** **29 ნოემბერს.**

ვისი ბრალია, რომ ჩვენი სალსის უმეტესობა კიდევ ვერ გადაეჩვია სხვა-და-სხვა ამაო ლ მავნე ჩვეულებათა აღსრულებას გარდაცვალებულების მოხსენების საქმეში?

ყველანი ეკიცხაეთ მდაბიო ხალხს, ყველანი ვამხილებთ და ვაუგებთ მათ, რომ იგინი ასრულებენ სხვა-და-სხვა ამაო მორწმუნებას და მავნე ჩვეულებათა გარდაცვალებულების დასაფლაევების და მათი სულის მოხსენების დროს. ამ დროს ჩვენს თავს კი არაფერს ვეუბნებით, სრულებით დამნაშავეთ არა ვრაცხთ ჩვენ თავს იმაში, რომ ჩვენნი სულიერნი შვილნი, ჩვენი მოწაფენი, ამისთანა საძრახ საქციელს ჩადიან. ვინ არ იცის, რომ ზოგიერთი გლეხი საუკუნოდ ვალიანდება გარდაცვალებულის სამსახურისათვის, მაგრამ ამ ვალიდამ გარდაცვალებულის სულს გროში კაპეიკის არა ეძინება რა. იმერეთში და გურია-სამეგრელოში (აღარაფერს ვიტყვით აფხაზებს, სვანებსა და ხევსურებზე) გარდაცვალების დღეს და შემდეგ შიაც უმეტესი ყურადღება აქვსთ მიქცეული სმა-ჭამაზედ და ტირილის ცერემონიის აღსრულებაზე!.. წირვა-ლოცვის და ეკკლესიური მოხსენების მოკლება ისე არ შეაწუხებსთ მათ, როგორც მოზარეების უყოლობა. ბევრს ძლიერ მოსწონს, როდესაც ჩინებულნი საჭლეველონი დაესწრებიან განსვენებაზე, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ისინი სწირვენ გარდაცვალებულის სულისათვის; არა, მოსწონთ მისთვის, რომ გამოტირილს **დაამშვენებენ!** როდესაც გამოტირილზედ ზოგს ხუთი—ათი მღვდელი

ჰყავს მოპატიჟებული, ხშირად მათში ერთსაც არავის აწირვინებენ გარდაცვალებულისათვის!.. ჩვენი მაღალი წოდების პირნი ხშირად მღვდელ-მთავარსაც მოიპატიჟებენ საწირავად, მაგრამ როგორ ასრულებენ წირვას? მღვდელ-მთავარი ეკკლესიაში სწირავს და ამ წირვის დროს გარდაცვალებული სახლში ასვენია და ათას ნაირ სულელურ ჩვეულებას ასრულებენ განსვენებულის გვამზე!.. ეს არის წესი და რიგი? ეს არის გარდაცვალებულის პატივის ცემა?..

ყველა ეს იმას ამტკიცებს, რომ ხალხს არ ესმის და არ იცის, თუ რაში მდგომარეობს გარდაცვალებულის პატივისცემა და მისი სულის სამსახური, არ იცის მან, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს გარდაცვალებულის სულის საქმის სამსახური და ამაში ვინ არის დამნაშავე? უნდა გამოვტყდეთ, რომ ყველა ამაში მთავარესად ჩვენივე სამღვდელოება არის დამნაშავე. შეხედეთ ჩვენში მცხოვრებ ფრანგებს, სომხებს და სხვათა, როგორ იქცევიან ოგინი? ვის უნდა მივაწეროთ ის, რომ ამ ხალხში ყველაფერს წესისა და ეკკლესიის მოთხოვნილებისამებრ ასრულებენ. რასაკვირველია, ეს უნდა მივაწეროთ მათ სამღვდელოებას. ვინ აუხსნა და განუმარტა ჩვენ საზოგადოებას, განსაკუთრებით, მდაბიო ხალხს, რომ მესამე დღეს გარდაცვალებული უნდა დაასაფლაონ უსათუოდ? ვინ განუმარტა და ვინ მოითხოვა მრევლთაგან, რომ სულის მოხსენება უნდა სრულდებოდეს გარდაცვალებიდამ უთუოდ მეცხრე, მეორმოცე, და და წლის თავზედ და არა მაშინ, როდესაც სუქანცხერებს იყიდის ჭირისუფალი ან გახსნილდება? ვინ განუმარტა ჭირისუფალს, რომ მეცხრე, მეორმოცე და წლის თავზედ მწუხრს და ცისკარზე თვითონ მოვიდეს და წანდილიც მოიტანოს მოხსენების შესასრულებლად? ვინ განუმარტა სხვა კიდევ მრავალი და ვინ მოითხოვა, რომ მრევლს აღესრულებინა მოთხოვნილება ეკკლესიისა და თავის მოძღვრისა?

მართალია, იყვნენ ასში ერთი ორი, რომელნიც თავის ხმას აღიმაღლებდენ და გაბედულად მოითხოვდენ ხოლმე სამწყსოთაგან ყველა მათ ცუდ ამაო და მავნე ჩვეულებათა მოსპობას, მაგრამ ზოგიერთი მოძღვრები წინააღმდეგნი იყვნენ ხოლმე ამ ერთი-ორისა. ისინი ათასნაირად შიშობდენ ამისთანა ცუდ და მავნე ჩვეულებათა მოსპობაზე თქმასა და ქადაგებას. როდესაც ხალხი ხედავდა, რომ უფროსი მღვდლები ამ ჩვეულების მოსპობაზე არაფერს არ ამბობდენ, მაშინ ერთსა და ორს არავინ უგონებდა და, თუ მაინცა და მაინც დაიჯინებდა ვინმე, დიდ უბედურობას შეეყრებოდა..

მაგრამ დღეს, მადლობა ღმერთს, დრო შეიცვალა. თან-და თან მრავლდებიან ნასწავლნი მღვდლები. დღეს არავის არ უნდა ეშინოდეს, რომ სიტყვა აღამაღლოს და გაბედულად უთხრას თავის სამწყსოს: თუ გინდა პატივის ცემა გარდაცვალებულისა, პატივ ეცი მას ეკკლესიის კანონისა და რიგისამებრ და ის ათას ნაირი სულელური ჩვეულება და შენი დამაღარიბებელი წესები დასტოვე. რიგი და წესია გარდაცვალებული დამარხო მესამე დღეს და ასეც მოიქეცი, შენი ვალია, რომ სულის მოხსენების საქმე აღასრულო მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს და არა მაშინ, როდესაც გახსნილდება. სულის მოხსენების საქმეს ვერ დაუბრკოლებს ქრისტეს შობის, პეტრეპავლობის და ოთხშაბათ-პარასკევის ლარხვები. გაბედულად შეუძლია ყველამ მოითხოვოს სამწყსოთაგან წესის და რიგის დაცვა ხალხის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ.

გაფხიზლდით, გამხნევდით, ჩვენო ახალგაზდა თანამოძმენო! ნიადაგ გქონდესთ სახეში თქვენი სამწყსოს ქვეყნიური კეთილცხოვრება და ზეციური მათი სულის ცხოვნება.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დე.

(გაგრძელება *)

11 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, გაიხსნა კრება. ზოგიერთმა დეპუტატებმა წინადადებით წარმოთქმულ მოსაზრებათა დასამტკიცებლად გვანიცხადეს, რომ ეკკლესიებთან წიგნთ-საცავების გახსნა და ქადაგებითი სიტყვა მხოლოდ მაშინ მოიტანს მოსალოდნელს სარგებლობას, თუ სასულიერო მოთავეობა განკარგულებას მოახდენს, რომ კვირა-უქმე დღეებში და-

*) იხ. „მწყემსის“ მე-21 № 1893 წ.

კეტილ იქმნენ დუქნები, სადაც ამ დღეებში ხალხი უფრო სიამოვნებით და ხალისით მიდის, ვინემ ღვთის ტაძრებში წირვა-ლოცვის მოსასმენად.

დეკ. დ. ლამბაშიძე. ეს კითხვა ძლიერ დიდი და საყურადღებოა. რომ კვირა-დღესასწაულ დღეებში შეიძლებოდეს დუქნების დაკეტა, ეს ძლიერ კარგი და სასიხარულო იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უბედურება ის არის, რომ ჩვენ ჩვენი დადგენილობით არ შეგვიძლია ამის მოხდენა. მართალია, სამღვდელოებას ურჩევენ იქადაგონ, ასწავლონ სამრევლოთ, რომ მათში მოისპოს მთვრალობა, მაგრამ სანამდის ჩვენში ასე ბლომად იქნებიან სასმელების დუქნები, რაც უნდა მჭერმეტყველურად იქადაგონ და ასწავლონ ხალხს მღვდლებმა, ისინი ვერას მოახერხებენ. დღეს მრავალს ადგილს დგება საზოგადოება, რომლის მიზანს შეადგენს ხალხში მთვრალობის მოსპობა, მაგრამ ამ საზოგადოებათა ზოგიერთი წევრის შემხედვარე, არა ეფიქრობ, რომ ამ საზოგადოებათა ეს ბოროტება მოსპონ ხალხში. არა, ხალხში მთვრალობის მოსაპობად საჭიროა სულ სხვა ზომები.

რექტ. თბილ. სასულ. სემინარ. არქ. სერაფიმი ნება მომეცით მე, მ.მ. დეპუტატნო, წარმოვსთქვა რამდენიმე სიტყვა არა ისე, როგორც სემინარიის რექტორმა, არამედ როგორც ერთმა თქვენმა თანამოძმემ, რომელიც მზად ვარ დახმარება გაუწიო თქვენ საზოგადო საქმესაც, გაგიზიაროთ თქვენ ზოგიერთი ჩემი გამოცდილება და დაკვირვება. ცხოვრებაში მე არა ერთგზის შემინიშნავს, რომ ერთ ტაძარში რამოდენიმე მღვდელია მწირველი. მრევლნი ცდილობენ რაიმე გზით შეიტყონ წინდაწინ, მათში რომელი სწირავს რომელიმე დღეს და ან რომელი იტყვის ქადაგებას. ერთი მღვდლის წირვაზე და ქადაგებაზე ბევრი მლოცველები დაიარებიან, ხოლო მეორეს წირვაზე და ქადაგებაზე თითქმის სულ არავინ დადის. ასეც მოხდება ხოლმე: მღვდელი სწირავს თავის სამრევლოში, ეკლესია მთლად სავსეა ხალხით; ვთქვათ, ეს მღვდელი გარდაიცვალა, ან იგი სხვა სამრევლოში დაინიშნა, მის ადგილზე ინიშნება ახალი სულიერი მწყემსი ხშირათ უფრო განათლებული თავის წინამოადგილეზე, მაგრამ ეკლესიაში ძლიერ ცოტა ხალხი დადის წირვა-ლოცვის მოსასმენად. ზამთრობით ზოგი მღვდელი ზის სახლში და მოწყენილია, მეორე კითხულობს წიგნებს და ეარგიშდება, ზოგი მოუთმენლად ელის გაზაფხულს, რომ თავისი მშვენიერი ცხენებით გაისეირნოს სამრევლოში და მრევლთან გაატაროს დრო ერისკაცურად, და სრულიად ავიწყდება, რომ მისი მოვალეობა ითხოვს მისგან სულ სხვა ცხოვრებას და მოღვაწეობას.

შემდეგ მ. რექტორმა მოიხსენა ისიც, თუ ზოგიერთი მლოცველები როგორ დაიარებიან ათონზე და სხვა წმიდა ადგილებში, შემდეგ, როცა სოფლად ბრუნდებიან, თავიანთი გზიადებული საუბრებით წმ. ადგილების შესახებ, სულ გზა-კვალს უბნევენ მდაბიო ხალხს. საზოგადოდ მ. რექტორმა ბევრი მაგალითები მოიყვანა იმის შესახებ, რომ ეკლესის მღვდლებს ბევრი საარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ თავიანთ სამრევლოებში, თუ კი მოინდომებენ და თავის გავლენით ყურადღებას მიიქცევენ სამრევლოებისას და მამა-შვილური განწყობილება ექნებათ სამრევლოებთან. რაც ესთქვი, ყოველივე ეს მეხება რუსეთის სამღვდელოებას და საზოგადოებას. კრებამ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ერთხმად დაადგინა:

დაევალოს ყველა ეკლესიების წინამძღვრებს დაარსონ ტაძრებთან წიგნთ-საცავები ეკლესიის საშუალებით, იხმარონ რა ამ საქმისათვის ეკლესიის შემოსავლისაგან 1—50 მანეთამდე. წიგნთ-საცავებისათვის უნდა მოპოებულ იქმნეს ის წიგნები, რომელიც ნება დართულია უწმიდესი სინოდისაგან ხალხის საკითხავად. ეთხოვოს მის მაღალ ყოველად უსამღვდელოესობას, საქართველოს ეპისკოპოსს, მიანდოს სასულიერო-ზნეობრივი წიგნების კატალოგის შედგენა, რომელიც დაბეჭდილია ქართულს და სხვა ენებზე ქართველებისა და ბერძენთათვის. ღარიბ ეკლესიებს შეუძლიათ სთხოვონ მათ მეუფებას, რომ წიგნების მოსაპოებლად ამ ეკლესიებს ფულები ასესხონ ერთდროებითად უფრო შეძლებულმა ეკლესიებმა. კრება საჭიროდ ხედავს გაიხსნას ქ. თბილისში საზოგადო საწყობი წიგნებისა, ხატებისა, ეკლესიის მორთულობისა და შესამოსლებისა. ამისათვის სამღვდელოების კრება ნიშნავს განსაკუთრებითი კომიტეტს შემდეგ პირთაგან: დეკანოზების გ. პეტრიეფის, დ. ლამბაშიძის, მღვდელთა ტყემალაძის, შოშიეფის, ცინცაძის, თოთიბაძის და მასწავლებლების თ. ჟორდანია, დობრონრავოვის და საძაგელოვისაგან, რომ ამ პირებმა შეიმუშავონ ის წესი, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ამ საწყობმა. საწყობის გასახსნე-

ლად საპიროო ფულებიბოიბოპოს ერთდროებითად ეკლესიებზე, ეკლესიაზე ორ-ორი მ.

შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა მათი მეუფების, საქართველოს ექსარხოსის წინადადება შესახებ ყოველ საბლაღოჩინო მაზრაში საბლაღოჩინო რჩევის დანიშვნისა, რომლის თავმჯდომარედ უნდა იყოს თვითონ ბლაღოჩინი და 2 წევრი, 1 თვითონ ბლაღოჩინის თანაშემწე და მეორედ სამღვდელოების მოძღვართ-მოძღვარი.

დეკ. დ. ღამბაშიძე. მათი მეუფების ეს წინადადება ჩვენში ახალია. რუსეთში, დიდი ხანია, არსებობს საბლაღოჩინო რჩევები და ეგვი არ არის, რომ ეს რჩევები დიდ სარგებლობას მოუტანენ სამღვდელოებას ზოგიერთი საქმეების გადაწყვეტის დროს, რომელიც ხშირად აღიძრება ხოლმე ეკლესიის კრებულის ზოგიერთ წევრთა შორის. დიდის ხნიდამ სასურველი იყო, რომ ჩვენშიაც დანიშნულიყო ასეთი რჩევები. ფრიად სასურველია, რომ ამისთანა რჩევები დაარსდეს საექსარხოსოის სხვა ეპარქიებშიაც გარდა ქართლ-კახეთისა. მაგრამ ჩემის აზრით ბლაღოჩინის თანაშემწე არ უნდა იქმნეს ამ რჩევის წევრად, რადგან ის ყოველთვის ბლაღოჩინთან ერთად მოქმედებს და ხან მის თანამდებობასაც ასრულებს.

მთელმა კრებამ ერთხმად მიიღო მათი მეუფების, საქართველოს ექსარხოსის წინადადება, ვინაიდგან ბევრი საქმეები ჩნდება კრებულის წევრთა შორის, რომელთა გასარჩევად და გარდასაწყვეტად ეკლესიის კრებულნი იძულებულნი ხდებიან მიმართონ ეპარქიის მთავრობას და დაადგინა: დაარსდეს საბლაღოჩინო რჩევები ბლაღოჩინებია თავმჯდომარეობით და ორი სამღვდელო პირისგან, რომელნიც ყოველთვის უნდა არჩეულ იქმნენ სამი წლით თვითონ სამღვდელოებისაგან.

შემდეგ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია სამღვდელოებაში ზოგიერთმა კითხვებმა სამრევლო ეკლესიების სამღვდელო მოსამსახურეთა მოვალეობის აღსრულების შესახებ. აგრეთვე აღიძრა კითხვა, თუ სად უნდა ინახებოდეს წმ. ზიარება ავადმყოფთათვის და ან როგორ უნდა აწარმოვონ საეკლესიო ქონება და სხვა.

დეკ. მღვ. კამრეკლოვი. ზოგიერთი მღვდლები ძლიერ მოშორებით სცხოვრებენ თავიანთ ეკლესიიდგან და ღამით, როცა უძახიან მღვდლებს ავათმყოფის საზიარებლად, ძლიერ გასაჭირია ეკლესიაში წასვლა. ან ხანდისხან, როცა მღვდელი დღით მიდის ავათმყოფის საზიარებლად, არამც თუ თავის ეკლესიაში ველარ ასწრებს მისვლას წმ. ზიარების შესანახავად, არამედ თავის სახლშიაც ველარ ბრუნდება. რა უნდა უყოს ამ შემთხვევაში მღვდელმა წმიდა ზიარებას?

ერთი დეპუტატი. ჩემს სამრევლოში ეხლა შენდება ეკლესია და სად შევინახო წმ. ზიარება ავათმყოფთათვის? თითოეულმა ჩვენგანმა იცის და ესმის, რომ წმ. ზიარება უნდა ინახებოდეს ეკლესიაში, მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანი იძულებულია ეს წმიდა ნაწილები შეინახოს თავის სახლში ხატის წინ.

სამღვდელოების კრებამ დაადგინა: რადგან ზოგიერთ ადგილობით პირობათა გამო ავათმყოფთათვის წმ. ზიარების შენახვა ტაძრებში ყოველთვის შესაძლებელი არ არის, ეთხოვოს მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს, ნება მისცეს იმ მღვდლებს, რომლებიც ეკლესიებიდგან და სამრევლოდამ მოშორებით სცხოვრებენ, როგორც მაგალ. თუშეთში, ხევსურეთში და სხვა ადგილებში, ავათმყოფთათვის წმ. ზიარება შეინახონ მღვდლებმა თავიანთ სახლებში ხატის წინ.

ჰედაგოგიკის ისტორიიდგან

ბავშვების აღზრდა რომში

(გაგრძელება *)

რომაელნი აღიჭურვენ ბერძნული ენის შემწეობით სწავლა-ცოდნითა; შემდეგ ეს სწავლა-ცოდნა მათ დედა ენის დახმარებით სამშობლო ნიადაგზედ გადმონერგეს. ბავშვებს ბერძნულს ენასთან ერთად ასწავლიდნენ რომაულსაც (ლათინურსა). გამოჩნდნენ მწერლები, რომელნიც ლათინურს ენაზედ სწერდნენ და თავის ნაწერებს ხალხში ავრცელებდნენ. ვარრონმა

*) იხ. «მწყემსი» № 17 1893 წ.

დაწერა გამოკვლევა ლათინური ენის შესახებ და იულიოს კეისარმა—ლათინური გრამმატიკა. იმართებოდნენ ლიტერატურული საღამოები სამშობლო ენაზედ,—აქ კითხულობდნენ ლათინურს ნაწერებს და ამბობდნენ ამავე ენაზედ სიტყვებსა. ციცერონმა დედა ენა ასეთი საღამოების ზედ-გავლენის ქვეშ შეიყვარა. გარდა ამისა დაარსებულ იქმნენ ისეთი სასწავლებლები, რომლებშიაც ახალთაობა იღებდა ეროვნულს განათლებას. ამ სასწავლებლებში ასწავლიდნენ გრამმატიკას, ცურაობას, სიმღერას—შეერთებულს ცეკვასთან. ასეთს სიმღერა-ცეკვას ჩინებული რომაელები ცუდის თვალით უცქეროდნენ; მაგალ. შესანიშნავს სციპიონ აფრიკანელს და ციცერონს არ მოსწონდათ ცეკვა-თამაშობანი ახალთაობისა. სციპიონი ამბობს: «ჩვენის დიდ-კაცობის ვაჟებს და ქალებს სხვა და სხვა ფუჭს და უზნეო ხელოვნებებს ასწავლიან: ისინი დაიარებიან მოცეკვავე, მემუსიკე და მომღერალ პირებთან ერთად მსახიობთა სკოლებში. ერთს საცეკვაო სკოლაში სამასი ვაჟი და ქალი ენახე და მათს რიცხვში ერთი თორმეტის წლის ყმაწვილი ისეთს ცეკვას უელიდა, რომელიც არ შეეფერებოდა არც უკანასკნელს ყრმასა!» სკოლების რიცხვი თან და-თან გამრავლდა პირველს საუკუნეში ქრისტემდის. სწავლა ვრცელდებოდა სკოლების შემწეობით, მაგრამ ზნეობითი ხრწნილება საზოგადოებისა ძლიერ ღრმად იდგამდა ფესვსა. სწავლა-განათლება რომაელთა არ იყო ადგილობრივი, ეროვნული; ის იყო აღმოცენებული უცხო ნიადაგზედ. ამიტომ მან ვერ გაიდგა ძირი ხალხის სულსა და გულში, ვერ იმოქმედა საკეთილოდ მის ბუნებაზედ. ხასიათის სიმტკიცეს ფასი აღარ ედო. ყველა ესწრაფებოდა ფუფუნებისა და ნაყროვანებისადმი. ზნეობით სიწამხდრეს რომი დაღუპვის ჯურღმულისკენ მიჰყავდა.

მაგრამ ის წეს-წყობილება, რომელიც ამ დროს არსებობდა რომაულს სკოლებში, გადაეცა საშუალ საუკუნოებს და დიდს ხანს ითვლებოდა საუკეთესო წეს-წყობილებად.

სკოლების რიცხვი განსაკუთრებით გამრავლდა ოც-და-ათის წლის წინ ქრისტემდის. რომის მთავრობას სურდა აღედგინა ზნეობა ხალხისა სკოლების გამრავლების შემწეობით, მაგრამ მიზანს კი ვერ მიაღწია... რას გააწყობს იქ სკოლა, სადაც ოჯახია ზნეობით დაცემული? დაცემულს ოჯახს და საზოგადოებაში ტრიალით ბავშვი სუნთქავს შხამით სავსე ჰაერს ზნეობითი სიწამხდრისას და სკოლის საკეთილო გავლენას ძნელად-და ემორჩილება. მართლაც ეს დრო იყო ის დრო, როდესაც შესანიშნავი ისტორიკოსის დრეპერის თქმით: «რომში სარწმუნოება მოკვდა და ზნეობა გაქრა»—ოჯახი ხელს არ უწყობდა სკოლას და მარტო სკოლა რას გახდებოდა? ტაციტი ამბობს: «რომაელთა ბავშვები მიეჩქარებიან ბერძნების რიტორებთან, რომელნიც არა თუ მარტო უკოდინარნი, არამედ ზნეობით გაფუჭებულნიც არიან»—ბერნგარდი ამბობს: «დეღის თვალთ წინ აღარ იზრდებოდა ბავშვი, არამედ მას აბარებდნენ მონას, რომელიც რყვნიდა ყრმას ზნეობითა». სატირიკოსი იუვენალე ამბობს: «მშობლები ბავშვებს სამარცხვინო საქციელს ასწავლიან... ჩვენ უნდა ვცდილობდეთ კეთილი შვილი აღეზარდოთ... ამისდა მიუხედავად ბავშვებს მამები ასწავლიან ძუნწობას, ანგარებას. მშობლები სჩივიან, საზოგადოება ზნეობით გაიხრწნაო და არ იციან, რომ ამ გახრწნილების დასაწყისი თვით მათშივე იმალება» ე. ი. არ იციან, რომ ცუდი აღზრდაა მიზეზი საზოგადოების ზნეობითი დაცემისა და გადუხვირებისა.

სკოლებში სასტიკი წვრთნილება იყო; წკეპლით ცემა არ იყო აღკრძალული. უფროს ერთი მასწავლებლებისა სრულიად არ იყო მომზადებული აღსასრულებლად თვისის მძიმე, რთული, მაგრამ წმიდა მოვალეობისა, არ ესმოდა სწავლა-აღზრდის საქმე. ბევრისთვის მასწავლებლობა იყო არსებობის სახსარი.

როდესაც რომში დაეცა ძველი ხასიათი სწავლება-აღზრდისა, გამოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელნიც სცდილობდნენ ეს ხასიათი გაეუმჯობესებინათ. ასეთს პირებში შესანიშნავნი არიან: კატონი, ციცერონი, კვინტილიანე, პლუტარხი და სენეკა, რომელთ პედაგოგიური მოსაზრებანი ძვირფასს განძს შეადგენენ პედაგოგიკის ისტორიისთვის.

ილ. ფერაძე.

პასუხად უსახელო წერილის აკეთორს.*)

ყველამ იცის, ვინც კი აკვირდება აწინდელ მდგომარეობას ჩვენის ეროვნებისას, რომ სწავლის სურვილი ჩვენში დღე-დღეზედ მატულობს. ეს სურვილი ყველას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ყველამ იცის დღეს, რომ ჩვენის აწინდელის, თუ მომავალის ბედნიერების უმთავრესი სახსარი, უპირველესი საშუალება, ნამდვილი და ჭეშმარიტი გზა ჩვენის კეთილ-დღეობისა არის სწავლა. ისიც ვიცით, რომ სწავლა-განათლების მიღების სურვილი იმერეთის მხარეში უფრო ძრიელია, ვიდრე ქართლ-კახეთში.

ვისთვის და რისთვის ბრძანებენ ამას ბბ. ჯარაია და მიქაძე? ვინ სთქვა, რომ სწავლა საზარალოა და კაცს არ გამოადგებაო? ვინ ამბობდა, რომ სწავლის სურვილი ქართლ-კასეთისკენ უმეტესად შემჩნეულიაო?

იმერეთის სკოლები სავსეა უმაწვილებითა; მრავალი მსურველთაგანი რჩება სკოლებში მიუღებლად ადგილის უმექონებლობისა გამო. ეს ზოგადი მოსაზრება შეიძლება ვსთქვათ განსაკუთრებით სამეგრელოზედაც. აქაური სამრევლო სკოლები სავსეა მოსწავლე ბავშვებითა; აქაური სამინისტრო სკოლებში თავისუფალი ადგილი მსურველ მოსწავლეთათვის ალარ არის; აქაური სასულიერო სასწავლებელი, რომელიც არის ერთად ერთი სასწავლებელი სამდვდელოების და საერო წოდების პირთა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საფუძველზედ დაფუძნებული და რომელიც, ცოტად თუ ბევრად, მართლაც თავის დანიშნულებას ასრულებს, სრულიად ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილების სურვილსა ადგილების უმექონებლობისა გამო. ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ ყოველ წლივ მისალებ ეგზამენების შემდეგ 80—100 მთხოვნელთაგან სასწავლებელში შედის 40—45 მხოვნელი; დანარჩენნი მშობელნი და პატრონნი ყმაწვლებისა დიდის მწუხარებით და თვალ-ცრემლიანნი ბრუნდებიან თავიანთ სახლში. ეს მოვლენა დაადგენს ყველას, ვისაც, ცოტათ თუ ბევრათ, შესტკივა გული სამშობლო მხარეს კეთილ-დღეობისადმი. ამ გარემოებამ დაბადა ჩვენში აზრი ახალ-სენაკში **სამაგალითო სამრევლო სკოლის** გახსნისა.

იქ, სადაც ოთხი და სამი მაინც მაზრის ოთხ. კლასიანი სასულიერო სასწავლებელი უნდა იყოს, თუ ერთის მეტს არ გახსნიან, ორასი სამრევლო სკოლის ალაგას თუ სამოცის მეტს არ გაუსნიან, რასაკვირველია, ყველა მთხოვნელების მიღება არ შეიძლება. რატომ არ ეტდებიან ყველა სამრევლოებში სკოლის დაარსებას? თქვენი სამაგალითო სკოლა განა ყველას დააკმაყოფილებს?

ჩვენ ეს აზრი განვახორციელეთ ყოვლად სამდვდელო გურია-სამეგრელოის ეპისკოპოზის გრიგორის ნება-რთვითა და ლოცვა-კურთხევით. გავხსენით სკოლა, სადაც დღეს 25 შაგირდია და სადაც მასწავლებლად არის ყოვლად სამდვდელოსავე დანიშვნით ბ. ნადარეიშვილი. სკოლა ექვემდებარება საეპარქიო სამრევლო სკოლების სამოსწავლო საბჭოს.

კეთილი და პატიოსანი. თუ ეპარქიის სამასწავლებლო საბჭოს ექვემდებარება და ის განაგებს ამ სასწავლებლის საქმეს, თქვენ რიდასი მაქნისი და გამგე ხართ?

ჩვენ გვქონდა სახეში მეორე მიზანიც ამ სკოლის გახსნის დროს. ეს მიზანი ყოვლად სამდვდელო გრიგოლს ძრიელ მოეწონა და სისრულეში მოგვაყვანია. ეს მიზანი არის ამ სკოლაშივე სამრევლო სკოლების მასწავლებლობის მსურველ-

---

*) მნელი წარმოსადგენია, რომ თუ კინმე რამეში კანონიერად ამხილეს და გაუსწორეს, მან პასუხი არ გასცეს მამხილებელს, რაც უნდა კანონიერი იყოს ეს მხილება. ხშირად პასუხის გამცემთა მისი დარდი არ აქვსთ, მართალია მათი პასუხი თუ არა. დაწერს პასუხს და იმისთანა სიტყვებში გაიმართლებს თავს, რომელშიც მასს არაკანონიერ ამტეუნებდა! სწორედ ამგვარი წერილია ბბ. ჯარაიას და მიქაძისაგან გამოგზავნილი წერილი საპასუხოდ მათგან ახალ-სენაკში სამაგალითო სამრევლო სკოლის გახსნას შესახებ. რომ ცხადათ დაგანახოთ მკითხველს ისა, რომ ბბ. მიქაძისა და ჯარაიას პასუხი სრულებით ვერ არღვევს მათზედ შეტანილ ბრალს, ჩვენ დაბეჭდავთ მათ პასუხს და თითოეულ მუხლზე მივცემთ პასუხს.

რედაქტორი.

თა მომზადებაც. აწინდელი მდგომარეობა სამრევლო სკოლებისა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში დიდად უკეთესია ადრინდელზედ. ყოვლად სამღვდელო გრიგოლს ჯ ეპარქიალური სამოსწავლო საბჭოს ამ სკოლებზე ზრუნვამ იქონია კარგი გავლენა ჯ ამ სკოლების საქმე წინ წასწია. მაგრამ უეჭველია, რომ ეს სკოლები უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდნენ დღეს, რომ უფრო მომზადებულნი მასწავლებელი ჰყოლოდათ. ამ სკოლებში მასწავლებლად არიან უმეტესად ისეთი პირნი, რომელთაც მარტო სასულიერო სასწავლებელში აქვსთ სწავლა შეესრულებული. სას. სასწავლებელი, როგორც ყველამ იცის, მცირეოდენ ტეორეტიულ სწავლასთან, თითქმის, არას აძლევს მათში კურს შესრულებულებს პრაქტიკულსა მასწავლებლობის ასპარეზზედ სამოქმედოთ. იმ ყმაწვილებს, რომელთაც დაესრულებიათ სასულ. სასწავლებელი ჯ რომელთაც აქვსთ სურვილი, რომ ცოტა რამე მაინც გააკეთონ, რითმე მაინც სარგებლობა მოუტანონ თავის ერსა, მაგალ. ბავშვების სწავლითა ჯ აღზრდითა, ვერას ახერხებენ, რადგანაც მოუმზადებელნი არიან ამ საქმისათვის. ვინც ინიშნებოდა, ყველა სუსტად იყო მომზადებული თავის საქმისათვის. ამ გარემოებამაც გამოიწვია ხსენებული სკოლის დაარსება. მართალია, უწინ სასულ. სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში 10—15 დღე ყურს უგდებდნენ სამრევლო სკოლებში ახლად განწესებულნი მასწავლებელნი ჯ ამნაირად ცოტას მაინც ეჩვევოდნენ სწავლების საქმეს, მაგრამ მარტო ყურის გდებით ბევრს ვერას შეისწავლიდნენ. თანაც ამ მოსამზადებელ კლასებში მარტო ერთს განუოთოვილებასთან ეჩვეოდნენ ისინი სწავლების წესებსა, ხოლო დაარსებულ სკოლაში უნდა ასწავლონ სამ განყოფილებას იმ საგუძველით, რომ სამრევლო სკოლებში ამნაირ ბავშვებთან ექმნებათ საქმე. აი მოსაზრება ჯ მიზანი ამ სკოლის ჯ დაარსებისა.

სწორეთ კეთილი მოსაზრება გახლავსთ, ბავშვებს რომ სამი თუმანი გადასხდევინო იმისათვის, რომ მასწავლებელი გაწვრთვნა, ეს არც ერთ კანონს არ ეთანხმება. და რა გიშლიათ ესეც ასრულოთ სამრევლო სკოლებში? განა სამი განუოთოვილებს არ არის სამრევლო სკოლებში?

მართალია, ყოველი ახალი საქმე პირველად უნაკლო არ იქნება. ყოველი კეთილი მიზნით დაწყებული ახალი საქმე თანგრძნობის ღირსი უნდა იყოს. კარგს ყველა თანაუგრძნობს, ცუდს არა. მაგრამ გვიკვირს კი, რომ იმ ვაჟ-ბატონს, რომელიც ახალ-სენაკიდამ ამ სკოლაზე იწერება, არც კი შემოუხედნია ჩვენს სკოლაში, რომ გაეგო შინაური მდგომარეობა სკოლისა, მისი სიავ-კარგე, რომ მისს მსჯელობას საბაბი რამ ჰქონოდა ჯ ეგრე საუბოდ არ გაეხადა ეს წმიდა-წმიდათა ხალხის განათლებისა. ზოგი კაცი შურის თვალით ჯ კილვიოა შეხედავს ყოველს საქმეს, რომელიც მისგან არ არის დაწყებული. არიან ისეთი ვაჟ-ბატონები, რომელნიც ბ ა ნ ქ ო ს თამაშობაში ჯ კავალერობაში ფართეაში ყმაწვილობის სისხლს იშრობენ იმის მაგიერ, რომ მცირე რამ გააკეთონ ქვეყნისა ჯ მამულის სასარგებლო თავიანთ სალუკმა-შური სამსახურის გარეშე.

ყოველი კეთილი საქმე თანასაგრძნობია ყველასაგან, მაგრამ ცუდი მიზნით თუ არის დაწყებული, მაშინ ყველასაგან განსაკიცხია. ვის მოსწონს ბანქოს მოთამაშენი? სრულიად არავის. ეს მარტო სიტყვის სიბარქოდ არის თქმული.

ზემოთ მოხსენებული წერილი სავსეა ცილის წამებითა, მაგრამ ჩვენ ყველაზედ პასუხის მიცემას საჭიროდ არა ვრაცხთ, რადგანაც თვით დედა აზრი, მიმართულება და ბოლო სტატიისა აშკარად ამტკიცებს მისი ავტორის საუბრ მიმართულებას. მხოლოდ ჭეშმარიტების აღსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ საზოგადოების წინაშე.

პირდაპირ აქედამ უნდა დაგეწყოთ პასუხი და რაც აქნოიამდისინ არის დაწერილი, ამბად არის ნათქვამი. აბა ვნახოთ, რა გოგრ აღადგენთ ჭეშმარიტებას...

სწავლის ფული სკოლაში არის დაწესებული საბჭოს მიერ თითო ბავშვისაგან შეძლებისა და გვარად, მაგრამ არა უმეტეს 30 მანეთისა წელიწადში. ობოლნი და უჭირისუფლონი უსასყიდლოდ სწავლობენ. ესრე-

თნი ჯერ 7 არის. 30 მ. გამოიღებს მარტო შეძლებული, რომელსაც უნდა განსაკუთრებულადაც სწავლება სადმე სასწავლებელში მისაღებად. სას. სასწ. 1-ლ მოსამზ. კლასში სწავლის ფული 30 მ. და რადგან არა ნაკლები სწავლაა ამ სკოლაშიაც (საღამოსაც არის სწავლა), ამიტომ ვირველად ეს გვქონდა სახეში, მაგრამ მერე გარემოებათა მიხედვით და საბჭოს წინადადებით ეს გამოვცვალეთ და გადასახადი დავაწესეთ შეძლებისადაგვარად.

ამ სიტყვებში არაგითარი ჭეშმარიტების აღდგინება არ არის. თუ 30 მ. ახდგინებთ სამრეკლო სკოლაში მოსწავლეებს, სწორეთ კარგი სამაგალითო სკოლა ეთქოლა! ბბ. ჭარაია და მიქაძე ბრძანებენ, რომ საღამოობითაც გასწავლით შაგირდებსო. ნეტავი გვეცნობა, ეხლახანთ სად არ გამოცემულა ამისთანა სასწავლებლების პროგრამმა? ჭიკავს, თქვენ ბავშვებს ამზადებთ სხვა სასწავლებლებში მისაღებათ. თუ ასეა და რისთვის ამზადებთ ბავშვებს, რადგან ყველა სასწავლებლებს მოსამზადებელი კლასები აქვს და თვითონ ამზადებენ მაღალი კლასებისათვის მოწაფეებს? არ გეყოფა, რომ სასულ. სასწავლებელში მღვდლის შვილები 30 მ. იხდიდნენ სასწავლო ფულს.

ბ. სტატიის ავტორს ეკითხნა, თუ ჩვენ არ დაგვიჯერებდა, საბჭოის თავმჯდომარისათვის ან საქმის მწარმოებელ წევრისათვის და ნამდვილს გაიგებდა.

რა ეკითხა? ბბ. ჭარაია და მიქაძე თვითონ ამტკიცებენ, რომ სწავლის უფლებისათვის 30 მ. ვახდენინებთ და ბავშვებს ვამზადებთ სასწავლებელში შესაყვანად. ეს ვერ გაუგია ჯერეთ კიდევ, რომ სამაგალითო სამრეკლო სკოლის პროგრამმას სრულებით სასკოლო არა აქვს ბავშვების მოამზადება სხვა სასწავლებლებში „ესაყვანად!..

სრულიად მოკლებულია ჭეშმარიტებას ბ. ავტორის ეს სიტყვებიც: ამაკე სკოლასთან, როგორც დაბეჭდილ განცხადებაში უწერია მის დამარსებელთა, სარეპეტიციო კურსებიც გახლავთ სასულიერო სასწავლებლის მაღალ კლასებში მოსამზადებლად. გასაკვირია, ღმერთმანი, აგრე თვალის ახვევა და განსაცდელში შეყვანა იმისთანა წმინდა ორგანოსი, როგორიც არის გაზეთი და მის შემწეობით საზოგადოებისა.

არ გეყოფა, რომ ეს მოგონილი იყოს წერილის ავტორისაგან და, თუ მართლა ტყუილად მოიწერა, ბოლოს ტუდათ უნებებია.

რალა უნდა ვსთქვათ უბრალო სიტყვებით კინკლაობაზედ? ეს იმათ მიმართულებას ეშესაბამება: განცხადებაში სწერია, რომ უმაღლესის „მოაგრობის ნება-რთვით არის ეს სკოლა დაარსებული. ეს სიცრუეა. უნდა იყოს: ეპარქიალური მთავრობის ნებართვითა». ჩვენ აგრე არა გვაქვს, გადმოეწერათ კარგად. ჩვენ გვაქვს: უმაღლესის სასულიერო მთავრობის და სხ. ვინ არ იცის, რა არის სასულიერო მთავრობა და რა არის უმაღლესი სასულ. მთავრობა?

ეველა ეს სიტყვები უადგილოდ არის მოყვანილი, თუ კი ფული და საშუალება არის, ამისთანა სკოლის გახსნა მრავალს ადგილას შეუძლია ეპარქიის სამსწავლებლო საბჭოს, რასაკვირველია, ეპარქიის მღვდელმთავრის ნებით და დამტკიცებით. და რა საჭირო იყო ამაზედ ცალკე განცხადების ბეჭდვა, რომ უმაღლესა სასულიერო მთავრობის ნებით და კურთხევით ჭარაიამ და მიქაძემ სკოლა გახსნეს? ცხადათ სჩანს ყველასთვის, თუ რატომ არის განცხადებაში დაბეჭდილი: უმაღლესი სასულიერო მთავრობის ნებადართვით და სხ.

ვსთხოვთ ბატ. ავტორს მასკა(?) აიხადოს და თავის ვინაობა გამოაცხადოს. ასრეთ საზოგადო საქმეში წუვდიადში თავის დათვარვა არ არის მიღებული. ასეთ წერილებს ჭქვიან დაბეზღების წერილები და არა საზოგადო საქმეზედ მსჯელობისა და განსჯა-განხილვის წერილები.

კარწმუნებთ ბბ. ჭარაიას და მიქაძეს, რომ წერილის ავტორი არ იმალება. დაბეზღების წერილებად იმისთანა წერილები იწოდება, რომელშიაც ყველაფერი მოგონებულია განკგებ. ავტორის წერილის სამართლე ხომ თქვენვე დამტკიცეთ!..

ამ სკოლის გახსნის დროს ჩვენ გვქონდა ის წმ. აზრი, რომელიც გამოიხატება მოციქულის სიტყვებში: მწყსადით თქვენ შორის სამწყსოსა მას ღვთისასა, იძგწიდით ნუ იძულებით, არამედ ნებსით და ღვთისთვის: ნუცა სარგებლისა შეძინებით, არამედ გულსმოდგინეთ (1 პეტრ. 5, 2).

სად ამბობს აქ მოციქული პეტრე, რომ სწავლებისათვის ყრმათა სამი თუმანი და მეტი გარდასხდეგინეთო, და ისიც სამრევლო სამგალითო სკოლაშიო?

ვსწერთ რა ამას პასუხად ჩვენ წინაადმდეგ დაბეჭდილ სტატიისა, ჩვენ გვახსოვს მხოლოდ სიტყვანი მოციქულისანი: დადგათუ მივსწერე თქვენდა, გარნა რამე მოგნებელისა მისთვის, არცა ენებულისა, არამედ ამისთვის, რათა გამოსჩნდეს მოსწრაფება თქვენი ჩვენდა მომართ თქვენდა მიმართ წინაშე ღვთისა. (2 კორინთ. 7, 12).

გამგენი სკოლისა: { ნიკო ჭარაია
ბესარიონ მიქაძე

ღმერთმან ინებოს, მაგრამ ძლიერ სასურველია, რომ მოსწრაფება გამოიჩინონ მეგრელებმა თქვენდა მომართ, თუ სამ-სამი თუმანი ახდეგინეთ იმ სწავლისთვის, რასაც ეძლევა სამგალითო სამრევლო სკოლა მოსწავლეებს!..

დრო გამოცვალა. *)

„მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის“ (იოანე 10—11).

(გუძღვნი ახალგაზდა მღვდლებს).

თუმც რამოდენიმე საუკუნომ განელო მას აქეთ, რაც წმ. სახარების სიტყვა მოხდა ადამიანის გულს და მოალბო მისი დაკოდილი, ტანჯვებით დამწვარი წყლულები, მაგრამ კეთილი მოძღვრის იდეალი ისევ შეურყეველად შეუცველელათვე დარჩა ხალხში. ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ღვთისაგან კეთილი მოძღვარი მოელინებია. ისეთი მოძღვარი, რომელიც ელტვის თავის მაღალ წოდების დანიშნულებას და იდეალს: უთანაგრძნობს, მუდამ გვერდში უდგია თავის სამწყსოს, კენესის მისი ტკივილით და ხარობს მისი დღესასწაულით, ნუგეშს აძლევს შეწუხებულს, ამხნევებს სასოწარკვეთილთ, არიგებს წაკიდებულთ და სიმართლით აღფურვილი იცავს დაბეჩავებულს დამტანჯველებისაგან. ნუ თუ ამნაირი ბედნიერების მინიჭება ხალხის დღესასწაულს და სიხარულს არ შეადგენს?! ვის შეუძლია ამხილოს მოყვასი სახალხოთ, თავის ჩადენილ ბოროტებაში თუ არა მის მღვდელს, მის სულიერ მოძღვარს?! ვის გაუმხელს ადამიანი თავის გულის ნადებს, თავის სულიერ საიდუმლოს, თუ არა თავის მოძღვარს? ვის შეუძლია ისე დაუახლოვდეს ხალხს, გაიცნოს მისი ავი, კარგი, სატირალი და სამხიარულო მხარე თუ არა იმავე მოძღვარს, სოფლის მღვდელს?! ნუ თუ შენ, შვილო, ამ თვისებას ადამიანის ღირსებათ არ სთვლი? აბა მიჩვენე საერო სამსახურის პირი, რომ ასეთი ნებით, უპირატესობით იყოს აღფურვილი. ზევით ესთქვი, რომ ჩვენი მოძღვრები ხალხში სცხოვრებენ, მისი სადგომი და გლეხის ქოხი პირდაპირ შესჩერებიან ერთმანეთს, მისი გაჭირვების და დალხინების დამსწრე—თავის თვალებით მნახველია; მაგრამ, საუბედუროთ, დღევანდელ ზოგიერთ ახალგაზდა მღვდლებში იმ სიყვარულს და თანაგრძნობას სამწყსოისადმი ნაკლებათ ეხედავთ, რომელიც შეადგენს ქრისტეს სარწმუნოების იდეალს. დღევანდელი ჩვენი მოძღვრები ორ კატეგორიას ეკუთვნიან. ერთი მათგანი სულ ახალგაზდაა, ხალხის ცხოვრების სრულებით უეცნი, გამოუცდელნი, ხანდისხან სრულებით გულცივნი, რომლებსაც ხალხის სიყვარული სიზმრათაც არ მოლანდებიათ, რომლებიც ხალხს ისე უყურებენ როგორც თავის საცხოვრებელ სახსარს, თავის სასარგებლოთ გასაპარცს ცხვრებს. ამათ, რასაკვირველია, ხალხიც ისე უყურებს და მათ შორის სიძულვილი იბადება; ეს სიძულვილი შემდეგში ეკლესიას და მის წესების შესრულებაზედაც შესამჩნევ კვალს აჩენს. მეორე კატეგორიას ეკუთვნის, ასეთ წოდებულნი «შერჩენილი» მღვდლები, ე. ი., რომლებიც არც ძველში ურევიან და არც ახალში; ვსენი გარეგნობით სული და გული არიან ხალხისა, შეხედულობით შემწყნი, მრჩევლნი და დამრიგებელნი არიან მათნი, მაგრამ ნამდვილ კი სულ სხვები... ნუ თუ ამგვარ მოძღვრებს ხალხი შეიყვარებს, მათ მოძღვრებას—ქადაგებას რაიმე გაელენა ექმნება სამწყსოზედ? ნუ თუ

* იხ. «მწყემსი»-ს № 21, 1893 წ.

ასეთი მოძღვარი არის «მწყემსი კეთილი, რომელმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის» (იოან. თ. 10). და არა «სასყიდლით დადგენილნი, რომლებიც იხილვენ რა მომავალ ბგელს, დაუტევენ ცხოვართ და ილტვიან“ (მისივე 12). ნუ თუ ამისთანა მღვდელს ნება აქვს ხალხის საუვედური სთქვას, რომელიც მას არ ზოგავს და უცქერის საწველ ფურად. ნუ თუ ამ გვარ მღვდელს სულიერი მამა ეწოდება, რომელიც ნუსხას ადგენს და ავალდებულებს თავის მოძმეს, მოხუცებულ მღვდელს შეუცვლელად შეასრულოს?

— რა ნუსხა? რა ნუსხის შედგენა შეუძლია სოფლის მღვდელს! განა ეგეც ცილის წამება არ არის ჩვენი? გააწყვეტია მ. ილარიონმა.

— «მწყემსი» ხომ მოგდის, შვილო! ჰკითხა მ. იოანემ.

— «მწყემსი» კი არა მჭადი მიჭირს, მამაო, საშოვნელად. ჩემს მრევლს და ეკლესიას რას გამოვრჩები, რომ გაზეთები გამოვიწეროო?

— ეს სულ ადვილია, შვილო, თუ სურვილი გექნება შენი ქვეყნის ცხოვრების თვალყურის დევნისა—ყველაფერა შეიძლებ; ხომ გაგიგონია ჩვენებური გონიერი ანდაზა „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო». ეს ხომ ასეა, შვილო, მაგრამ თუ არ წაგიკითხავს, მაშ მე წაგიკითხავ. სთქვა ეს მ. იოანემ, მეორე ოთახში ნელ-ნელა ჯოხით შებოკინდა, «მწყემსი»-ს ნომრები გადაშალა; 1893 წლის მე-8 № ამოიღო, სათვალეები წამოიდგა და დაიწყო: «მამაო ლ! ხომ გაგიგონია, რომ რომელ სოფელშიაც შევა კაცი, იმ სოფლის ზნე-ჩვეულობას უნდა მიყვეს. შენი წინამოადგილე, კარგათ იცი, რომ მკვდრების ანგარიშს აკლდა და ცოცხლებს არ ემატებოდა, გამორიცხული ადრიდგანვე, ამიტომ ეწოდებოდა «ჩურჩუტი». წარმოიდგინეთ, რომ 40 მან. ადგილზედ თუმანს ახდევინებდა, თუმნის ადგილზედ 3 მანეთს, 3 მანეთის ადგილზედ მანეთს და ხანნაკლებსაც... აი ჩემი ჩვეულება ეს არის და იმედია თქვენც მხარს მომცემთ და თანასწორად ვიმოქმედებთ მრევლისაგან მოსათხოვნელ ანგარიშების დროს, რომ ყაზახების სასაცილო არ გავხდეთ. კარგი შეძლებული თავისი ნებით იხდის საორმოცოდ 40 მან. გარდა ერთ თუმან სამოძღვროისა და მანეთს ანდერძის ფულისა. საშვალი—ნახევარ საორმოცედ 20 მ. გარდა სამოძღვრო თუმნისა. მდარე—სამოძღვრო და ანდერძისას 11 მანეთს და სხვას შეძლებისადაგვარად. ხანდახან გაწირვინებენ, მაგრამ იცოდე, წარვა მანეთ ნაკლებ არავინ შემოგბედოს. მთლად ღარიბს—8 ან 6 მ., ან უსაშველოდ 3 მანეთი მაინც გარდაახდევინე. საგვირგვინო: დაწყებული 5 მანეთიდგან 30 მანეთამდის სათქმელი არ არის. მოწმობას ვაჟი თუ აიღებს და იქით მიდის, იმას ნახევარი საგვირგვინო და თუ აქ იწერს—სრულიად და ასე, იმედია, ერთმანეთის სასაცილოდ არ უჩვენებთ თავს საზოგადოებას და ამაში მხარს მომცემთ. თქვენი ა.... 1892 წ.»

აი ამგვარია დღევანდელი ზოგიერთი მოძღვარი. ამგვარ მოძღვარს მართებს გულ-მოდგინეთ შეისწავლოს სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, რომელიც ამბობს: «ცუდს ნუ სწამებ შენს ძმას და მოყვასსა შენსა; მეგობარს ნუ გასცელი საუნჯეზედ, შენს ღვიძლ ძმას ნუ გასცელი ოქროზედ, ყოველს ცხოველს უყვარს თავისი მზგავსი და ყოველს კაცს უნდა უყვარდეს თავისი მოყვასი». აი, შვილო, სიბრძნე, რომელსაც უნდა ეწაფებოდეს ახალგაზდა მოძღვარი. ვიცი, რომ სემინარია ძლიერ ბევრს საგნებს გასწავლისთ, ღვთისმეტყველებაც შეიძლება გონიერად შეისწავლოთ, მაგრამ ცხოვრების სკოლის შესასწავლად ეს პირველი საფეხურია. ცხოვრებას თავისი საღვთისმეტყველო საგნები აქვს, რომლებიც საჭიროებენ თქვენგნივ შესწავლას, გაუმჯობესობას და განვითარებას, მაგრამ თქვენ ახალგაზდა მოძღვრები ცხოვრების ხიდს გვერდს უვლით და ფონში კი გიჭირსთ გასვლა. დაუახლოვდით ხალხს, შეისწავლეთ მისი ცხოვრების ყოველგვარი მხარე, გაარჩიეთ კრიტიკულად, რა საჭიროებას გრძნობს სოფელი, რა მოძავალი მოელის მათ მდგომარეობას, აცხობეთ ეს მდგომარეობა გაზეთების შემწეობით ჩვენ განათლებულ საზოგადოებას და აბა მაშინ ნახავთ, ხალხი და მათი მდგომარეობა მოგეწონებათ, მეგიყვარდებათ იგინი და პატივისცემით მოგეპყრობათ თქვენც თუ არა? ემადლობ ზეციურს ღმერთს, ჩვენი ქვეყანა თითქმის დღეს ყოველი კუთხით მოფენილია ახალგაზდა ნასწავლი მღვდლებით, ზოგიერთ მათგანს, საბედნიეროდ, უმაღლესი სასწავლებელიც დაუმთავრებიათ, უმაღლეს ხარისხამდე ღვთის-მსახურება და ღვთის-მეტყველობა შეუსწავლიათ, მაგრამ საუბედუროთ მათგან ნაყოფს ძლიერ ცოტას ვხედავთ. გარდა ორიოდე პატიოსანმულ პირებისა, აბა მ-მითითეთ ერთ ახალგაზრდ სემინარიელ მღვდელზე, რომ მისი თაობით ან სოფლის მღარბია გაეხსნას, ან ეკლესია აეგოს ხალხს, ან რაიმე წერილი დაებეჭდოს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იმ ბედშავ გლეხების მდგომარეობის შესახებ, რომელთაც მუდამ გვერდში უდგია და ერთათ სცხოვრებს. აბა გადაავლეთ თვალი ერთად ერთ სასულ. გაზეთს და რა წერილებს ნახავთ ჩვენ ახალგაზდ ნასწავლ მღვდლებისაგან გამოგზავნილს! თითქო ერთმანეთისაგან გადაწერესო, იწერებიან: „მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის ჟურნალის

„მწყემსი“.ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ „იმ პირთ, რომელთაც რწმუნებული ჩემდაძო კ—ის წმ. გიორგის ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი საეკ-კლესიო ნივთები. (ქვეეთ ჩამოთვლილია ნივთების სახელები).

სოფ. კ—ის წმ. გიორგის ეკლ. მღვ. მ ა. ჩ—შვილი“.

ნუ თუ ამის მეტს მასალას გაზეთის სტატიისთვის არ აძლევს სოფელი ნასწავლ მოძღვარს? ნუ თუ ხალხში არაფერი მოიპოვება ისეთი, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქციოს? როგორ არა, მაგრამ ისევ ის გამოურკვეველი მიზეზი ეჩხირება გზაში, რომელსაც ცხოვრების შეუსწავლელობას ეძახიან.

ამას თავი დავანებოთ, ავიღოთ, თუ გინდა, ის წმიდა და მრავალ მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც სახალხო განათლებას უწოდებთ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ მღვდლებს მიეცათ ნება ყოველ, ეპარ-ქიებ, შეძლებულ ეკლესიებთან სამრევლო სკოლები გაეხსნათ და პირველი ელემენტარული ზნეობრივი განათლება მოეფინათ თავიანთ სამწყსოში. ახლა აქ ნახე, შვილო, რა გულცივობას, სიზარმაცეს და ამ მძიმე საქმის დაუფასებლობის უნარს ინენენ ახალ-გაზდა მღვდლები. მის მაგივრ, რომ მუდამ თვალ-ყური ადევნონ სკოლაში სწავლის მსვლელობას, აჩვე-ნონ უკეთესი უადვილესი მეთოდი და ამ დროის პედაგოგიური მოსაზრებანი თავიანთ მასწავლებელს— ისინი ზოგან მტრებათ გადაკიდებიან ერთმანეთს და ან თვეში ერთხელ თუ ნახავს სკოლა თავის მზრუნ-ველს, თავის წინამძღვარს სოფლის მღვდელს. მთელი წლობით საბრალო სკოლა ვილაც უვიც, თავის საქ-მის არ მცოდნე მასწავლებლის ხელშია. მასწავლებე-ლია სკოლის სულის ჩამდგმელი, მასწავლებელზედ არის დამოკიდებული ასეთი თუ ისეთი მიმართუ-ლების მიცემა სკოლისა. მასწავლებლის შემწე-ობით სკოლას შეუძლია მხურვალე სიყვარული აღზრას ხალხში ეკლესიისადმი, სწავლა-მეცნიერე-ბისადმი და ყოველ გვარ კეთილ წარმატებისადმი. გონიერად მოწყობილ სკოლასაც ბევრი სარგებლო-ბის მოტანა შეუძლია, მაგრამ ჩვენი სამრევლო სკო-ლები ამაებს ჯერ რიგიანად კიდევ ვერ ასრულებენ. ვერ ასრულებენ მით უმეტეს, რომ სამრევლო სკო-ლების მასწავლებლები უმეტეს ნაწილათ მოუმზა-დებელნი, განუვითარებლები არიან და თვითონაც ახალ-გაზდა მღვდლები კი ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ სწავლებაში. ამით სკოლის შემხედვარე სამწყსოს გული უტყდება სკოლაზედ და უკმაყოფი-ლოს ამ გვარის სწავლებისაგან, მიჰყავს უკანვე თავისი შვილი.

თეოფ. ხუსკივაძე.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ახალი ამბები და შენიშვნები.

დიდის ამბით მიეგება ჩვენი სამღვდელოება იმ სასიხარულო ამბებს, რომ სამღვდელოებას დაენიშ-ნება ნიადაგი ჯამაგირი ხაზინიდამ. ამ მიზნით ყო-ველს წელიწადს იქმნება გადადებული 250,000 მა-ნეთიო. ამ წელში გამოსულა ხაზინიდგან 250,000 მანეთი. უკვე გაუნაწილებიათ და ჩვენს საეპარხოსოს წილად ხოთომია ხუთ ეპარქიაში 1200 მანეთამდე, ასე რომ, თანასწორად თუ გაჰყვეს, თითო ეპარქიას შეხვდება 240 მან. ჯერეთ ნამდვილათ შეტყობილი არ არის, ვის დაენიშნა ეს 1200 მან. ამ საეპარ-ხოსოში ახალ გახსნილ შტატის ეკლესიის შტატებს, თუ იმ კრებულთა, რომელნიც არ იღებდენ არავი-თარ ჯამაგირს.

***

საჩხერის საბლაღოჩინო მაზრაში სამღვდელო-ებას არქიერის მთაზედ გზის გასაყვანად თითოეულს მღვდელს შეუწირავს 3 მ. და მედავითნეთა 1 მ.,—მთელს ეპარქიაშიამნაირად თითქმის შეიკრიბება 2000 მანეთი.

***

წელს მთელს ქუთაისის გუბერნიაში და განსა-კუთრებით შორაპნის მაზრაში დიდი მოუსავლობა იყო, რაისა გამო ხალხს დიდი შიმშილი მოელის. ამ უბედურებას როგორც იქნებოდა გაუძლებდნენ შო-რაპნის მაზრის მკვიდრნი, რომელთაც კაი შემოსავა-ლი ჰქონდათ შავის ქვის ზიდვით ჭიათურიდგან ყვი-რილამდე, მაგრამ ეს შემოსავალი მოესპოთ მათ ყვირილიდამ ჭიათურამდე რკინის გზის გაყვანით. გარდა ამისა ზოგან შორაპნის მაზრაში გავრცელე-ბულია საქონლის ჭირი, და კაცი არ არის, რომ ხალხის უბედურებას ყურადღება მიაქციოს. საჭიროა, რომ ამ მაზრაში გაიგზავნოს ბეითალი, რომ ხალხს რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს.

სწავლა და შეკნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

მშობლების კეთილი ცხოვრება საუკეთესო სამკვიდრებელია შვილთათვის.

(სიტყვა წმ. მართალთა იოაკიმ და ანნას დღესასწ. დღეს)

დღეის დღეს წმიდა ეკკლესია დღესასწაულობს ყოველად წმ. ქალწულის მარიამის წმ. მშობლებისა— მართალთა იოაკიმეს და ანნას ხსენებას. ამ დღესასწაულობის დროს, ალბად, თითოეული ჩვენგანი იდგენს თვალწინ და ფიქრობს, თუ რა ბედნიერნი იყვნენ ეს ღირსეულად დიდებულნი მეუღლენი, რომელთაც შეეძინათ ამისთანა ჭეშმარიტად სანატრელი ქალი!

მზგავსი ბედნიერება ხვედრია, ძმანო, ყველა მშობელთა, რომელთაც სურსთ, რომ მათი შვილები იქმნენ ნამდვილ ბედნიერნი და ნეტარნი. ღვთის სიბრძნის სიტყვისაებრ, უბედნიერესი სამკვიდრო შვილთათვის არის მშობელთა კეთილი და მართალი ცხოვრება, და ამიტომ უმთავრესი მოვალეობაა მშობელთა, რომელთაც სურსთ ბედნიერება თავიანთ შვილთათვის, თვითონ იცხოვრონ კეთილად და ღვთის კრძალულებით, როგორც სცხოვრებდნენ მართალნი მშობელნი წმ. ქალწულისა.

მართალია, სულ სხვას გვამცნებს ჩვენი ამაო წუთი სოფლის სიბრძნე. თუ სიმართლით იცხოვრე, ამბობს იგი, ძლიერ ცოტას შეიძენ; რა დარჩებათ ჩვენს შვილებს? ყოველის მხრით უნდა ეცადო, რომ შვილებისათვის შეიძინო დიდი სიმდიდრე, მათ უნდა დაუტოვო ბევრი სახლები და მიწა. მხოლოდ მაშინ იქნებიან ისინი ბედნიერნი და უზრუნველნი მთელს თავის სიცოცხლეში. სიმართლით თუ იცხოვრე, ბევრს ვერაფერ დიდებას შეიძენ, ვერ მიაღწევ იმ სახელოვანი კაცების დიდებამდე, რომელთა სახელები ბრწყინავენ სხვა და სხვა ორდენებით, და რომელნიც საგებლობენ ჩამომავლობითი და გვარეულობითი უპირატესობით; რითი უნდა გაიჩინონ მართალი კაცის შვილები უბრალო და მცირე პირთა აუარებელი შვილებისაგან? და რა პატივი ექნებათ მათ თავიანთ მოძმეთა შორის? სულ სხვა იქნება, თუ მოვიპოვებთ უმაღლეს პატივისცემას, გავამშვენებთ ჩვენს სახელს ბრწყინვალე ტიტულით, რომ ჩვენმა შვილებმა თავი იქონ თავიანთი ჩამომავლობით, თავი იქონ თავიანთი მამების და წინაპართა სახელებით. მაშინ ისინი მოიპოვებენ პატივისცემას და დიდებას. როცა სიმართლით სცხოვრობ, არ შეიძლება არ შეიძინო მტრები და არა კეთილისმყოფელნი, რომელნიც შემდეგ შენს შვილებსაც შეიძულებენ; რა ბედნიერნი იქმნებიან მართალი კაცის შვილები, რომელნიც გარემოცულნი იქნებიან მტრებით და მოძულეთაგან? საქმე ის არის, რომ რაიმე გზით დაიმსახურო ძლიერი კაცების ყურადღება. მაშინ ჩვენი შვილებიც ამ ძლიერი კაცების მფარველობას ქვეშე იქმნებიან და მათი მოწყალებით ბედნიერად იცხოვრებენ.

აი ასე გვამცნებს ჩვენი ამა ქვეყნიური ცხოვრების სიბრძნე. ხოლო ტრუ არიან ძანი კაცთანი, სასწორთა მათ ზედა სიტრუისათა (ფსალ. 69, 10). მაგრამ განა ყოველთვის აგვისრულდება ხოლმე ეს, ერთის შეხედვით, საფუძვლიანი ანგარიშები ამა ქვეყნიური სიბრძნისა? არა, უფრო ხშირად სულ წინააღმდეგს ეხედავთ. უკანონოთ შეძენილი სიმდიდრე დიდხანს არ შერჩება ხოლმე უკანონოდ შემძენელი კაცის შვილებს და მემკვიდრეებს. ხშირად მოხდება, რომ, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა, სხვანი შესჭამნენ ნაშრომს მისსა; ხოლო მისი მემკვიდრენი დარჩებიან საწყლებად. გარნა ამისად ჭეშმოთუს კაცი, ამბობს სიტყვა, ღვთისა, რამეთუ იუნჯებს, და არა უწყის, ვის შეუგრიბოს იგი (ფსალ. 38, 7). მართალი არიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტად სიმდიდრის მოხმარება შეუძლია მხოლოდ მასს, ვინც იძენს მას თავისი საკუთარი შრომით, და არა ის, ვისაც ეძლევა სიმდიდრე უბრალოდ და უშრომელად. რამდენი მემკვიდრეები გამოუცელია ზოგიერთი ერთ დროს მდიდარი კაცების დიდს საგომებს? დღეს კი ამ სახლების აღმშენებელთა საბრალო შვილები და მემკვიდრენი უსახლ-კაროდ დაეხეტებიან და არ იცვან, სად შეიფარონ თავი. და

განა უპატიოსნოდ შეძენილი დიდება სამარცხვინოლაქად არ ედებათ უმართლოდ გამდიდრებულ შვილებს და მემკვიდრეებს? ასეთი კაცების შვილები პატიოსანი ემის მაგიერ ყველასაგან ზიზღით იხსენიებიან. განა ცოტანი იყვნენ დიდებულნი და ქებულნი, რომელთაც დიდი სახელი ჰქონდათ მოპოებული ქვეყნის თვალში, მაგრამ მათი ხსენება მათთან ერთად მოისპო. თუ მართალი ცხოვრებით შეგეძლია ავიმტეროთ ჩვენ ზოგიერთი ბოროტნი და ზნეობით დაცემულნი პირნი, განა უკანონო ცხოვრებით კი კაი სახელს დავსტოვებთ კეთილი და პატიოსანი კაცების თვალში? ბევრი ცუდი ხსენება აქვს არა მარტო უსჯულოდ და უკანონო მომქმედ კაცს, არამედ მის შთამომავლობასაც? რამდენ მწარე საყვედურს და საჩივარს ისმენენ თავის ყურით უსამართლო კაცის შვილნი და მემკვიდრენი? უსამართლო კაცის ხსენება მისი შვილებისათვის არასოდეს სანუგეშო არ არის, პირიქით ყოველი მათი ხსენება მათ მემკვიდრეთათვის არის დასჯა და სამწუხარო. აგრეთვე ძლიერი კაცების მფარველობა განა დიდხანს გაჰყვება ფარისეველის და ლაქუცა კაცების შვილებს! ნუ ესაგთ, ამბობს სიტყვა ღვთისა, **მთავართა ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხოვრება, გამოვიდის სული მისი, და მიიქცის მუნვე მიწად მისდა; მას დღესა შინა წარწყმედიან ყოველნი ზრახვანი მისნი** (ფსალ. 147, 3—4), ხოლო მასთან გაჭრებიან ყოველი იმედი, რაიცა მასზედ ქონდათ.

უმჯობესი და საიმედო სამკვიდრებელი შვილთათვის არის მათი მშობლების უცოდველი და კეთილი ცხოვრება. ეს სამკვიდრებელი მტკიცე და საიმედოა ყოველივე სიმდიდრეზე, უძვირფასესია ყოველივე დიდებაზე და ტიტულებზე, და უძლიერესია ამა ქვეყნის ძლიერი კაცების მფარველობაზედ.

ვინც ცხოვრობს სამართლიანად, ვინ **ყოველთა მტანჯველთა სიმართლისა უფლისათა უბიწოდ** (ლუკ. 1,6), პირველად ამისთანა კაცზე სუფევს კურთხევა ღვთისა, რომელიც გადავა მის შთამომავლობაზედაც ნათესავითი ნათესავადმდე. ცხოვრებდა აბრაამი ღვთის ნებისამებრ და არა თუ მისი მახლობელნი, არამედ შორებელნი მისი შთამომავალნიც ბედნიერად ცხოვრობდნენ იმ ღვთის კურთხევის მადლით, რომელიც სუფევდა მათ წინაპარზე. მოიხვეჭა დავითმა ღვთის კურთხევა,—და მისი შთამომავალნიც (თუმცა ზოგი მათგანნი უსჯულონი იყვნენ), მემკვიდრეობით მეფობდნენ მის ტახტზე, როგორც ეს აღთქმული ჰქონდა დავითს ღვთისაგან. **უსჯულო საული** მოაცილდა ღვთის კურთხევას,—და მისი შთამომავლობა სიღარიბეში ჩავარდა და მოკლე ხანში სრულიად ამოწყდა. შეიძლება ჩვენ შორისაც არიან მრავალნი, რომელნიც ბედნიერად ცხოვრებენ არა მათი მშობლებისაგან დატოვებული სიმდიდრით და ძლიერი პირების მფარველობის წყალობით, არამედ თავიანთი კეთილ-მორწმუნე მშობლების ლოცვით და კურთხევით! ასე დიდი და საჭიროა, ასე კეთილსაიმედო და მტკიცეა ამა ქვეყნიური დღეკეთილობისათვის ღვთის კურთხევა, რომელიც სუფევს კეთილ მორწმუნე და მართალ კაცთა ზედა! იგი შეადგენს ჭეშმარიტს ბედნიერებას მათ შვილთა და შთამომავლობათათვის. ნათესავი მართალთა **კურთხეულ** იქმნების, ამბობს სიტყვა უფლისა.

ვინც სამართლიანად ცხოვრობს, ის არა თუ არავის არ აწყენინებს, პირიქით ყველას კეთილს უშვებს, იგი სარგებლობს თვით თავის მტერთათვის, ასეთი კაცი თავის შემდეგ სტოვებს კეთილს სახელს და კეთილს დიდებას, ყველას გული მოგებული რჩება. ასეთი კაცის შთამომავლობა ყოველთვის მოიპოვებს მფარველობას და შეწევნას. მამის კეთილი სახელი არის მისი შვილებისათვის საუკეთესო დროშა, რომ ყოველმა კაცმა ასეთი კაცის შვილებს მფარველობა გაუწიოს. ასეთი კაცის შვილები მათი მამის კეთილი სახელის წყალობით ყოველგან იძენენ მეგობრებს და მფარველებს. კიდეც რომ გაუჩნდეს მართალ კაცს მტრები, მათი მტრობა ისპობა ამ კეთილი კაცის სიკვდილის შემდეგ. არ შეიძლება, რომ ამ მტრებმაც არ შეიგნონ ბოლოს, რომ უმართლოთ სძაგდათ მათ მართალი კაცი, რომ უმართებულოთ და უკანონოდ სდევნიდნენ და აწუხებდნენ მასს სიცოცხლეში, ისინი თუ ბოროტს უშვებდნენ ამ მართალ კაცს, მაგრამ იგი ბოროტის მაგიერ სიკეთეს უშვებდა მათ. ნუ თუ სინდისი არ შთააგონებს მათ, რომ ამ კეთილი კაცის შვილებს მაინც რაიმე სიკეთე გაუწიონ? ამ სახით მართალი კაცის შვილები არა თუ მათი მამების მეგობრებსა და მფარველებში მოიპოვებენ მეგობრებს და შემწეთ, არამედ ასეთივე მეგობრებს და კეთილისმყოფელთ იძენენ თავის მამის მტერთა და შურის მეძიებელთა შორისაც.

ვინც უცოდველად ცხოვრობს თავის სიცოცხ-

ლეში, იგი სცხოვრობს შრომით, ზომიერად და თავდაჭერით. თუმცა ასეთ კაცს არ გააჩნია დიდი სიმდიდრე, ნაცვლად იგი ყოველიფერში კმაყოფილია; მისთვის საჭირო არ არის სხვა და სხვა გადაჭარბებული ცხოვრების ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, იგი კმაყოფილია მით, რაიცა მისცა მასს ღმერთმა და რითაც აკურთხა იგი უფალმა. ასეთი კაცი თავის შვილებსაც პატარაობიდგანვე აჩვევს შრომას და მომჭირნეობას, პატარაობიდგანვე ასწავლის თავის შვილებს, რათა იგინი კმაყოფილნი იქმნენ მით, რასაც ანიჭებს მათ უფალი. ამისთანა ბავშვები არას დროს უბედურნი და ბედის მომდურავნი არ იქმნებიან; ეინაიდგან ჭეშმარიტი ბედნიერება კაცისა თვითონ მასშია, მის გულშია. რაც გინდა აუარებელი სიმდიდრე მისცეთ ეეცხლის მოყვარე და ხარბ კაცს, ის მაინც არ დაკმაყოფილდება და მაინც მუდამ იშფოთებს, რომ უფრო მომეტებული სიმდიდრე შეიძინოს და ამიტომ მუდამ უბედურია, ეინაიდგან ვერასოდეს ვერ იძენს იმას, რაც სურს. რაც უნდა პატივით და დიდებით აღავსოთ თავმოყვარე კაცი, იმას ყოველივე ეს მცირედ მიაჩნია და მუდამ შურის თვალით უცქერის იმაზე უფრო დაწინაურებულს და დაჯილდოებულ პირთ, იგი მუდამ უკმაყოფილოა, რადგან მას არ უსრულდება მისი უაზრო ფიქრი და ვერ კმაყოფილდება მისი აღვირ ახსნილი ნატვრა და სურვილი. «სასუფეველი ღვთისა თქვენ შორის არს», იტყვის უფალი. «ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ» (მათ. 6, 33).

ვინც თვითონ სცხოვრებს კეთილად და ღვთის შიშსა შინა, იგი თავის შვილებსაც ასწავლის ამგვარ ცხოვრებას. ხოლო კეთილი და ღვთის მოშიში შვილი ყოველთვის ბედნიერი იქნება, კიდეც რომ მამამ დიდი ქონება არ დაუტოვოს, ხოლო ბიწიერს და გარეწარს შვილს მამის დიდი ქონებაც ვერას მოეხმარება. «კეთილ მსახურება», ამბობს მოციქული, ყოველიფერში სასარგებლოა, რადგან ასეთ ცხოვრებას მოსდევს როგორც ამ ქვეყნად ისე იმ სოფელში კეთილი ცხოვრება. აი ამისათვის წმიდა დავითი გვარწმუნებს, რომ მას მის ხანგრძლივი ცხოვრების დროს არ უნახავს, რომ კეთილი ღვთის მოსავი კაცის შთამომავლობა სიღარიბეში ჩავარდნილიყოს. «ყრმა ვიყავ და დავბერდიცა, და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა. მარადღეს ჰსწყალობს და ავასხენს მართალი და ნათესავი მისი კურთხეულ იყოს» (ფს. 36, 25, 26). ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის მარიამის მშობლებს არავითარიმე სიმდიდრე არ გააჩნდათ და არც შვილისთვის დაუტოვებიათ რაიმე სამკვიდრებელი; პირიქით, როცა თავის სამი წლის ქალი მიიყვანეს ღვთის ტაძარში, შესწირეს უფალს, თვითონ მალე დაიხოცნენ, და თავის ქალი ობლად დასტოვეს, მას ქვეყანაზე არავინ გააჩნდა მიმხედველი, მაგრამ ღვთის ტაძრის და უფლის საფარველსა ქვეშე იმყოფებოდა იგი. ნაცვლად სიმდიდრისა მშობლებმა დაუტოვეს თავის ქალს ცხოველი სული კეთილმსახურებისა, რითაც პატარაობიდგანვე აღვსილი იყო მისი გული, რომელიც გახდა სპეტაკი და წმიდა ტაძარი ღვთის მადლისა; ქალს დაუტოვეს სიყვარული ღვთის სჯულისა და სიტყვისადმი, რითაც იზრდებოდა მისი სული, როგორც ციური მანნით; დაუტოვეს მაგალითი თავისი უბიწო, კეთილმსახურებითი და ღვთის შიში ცხოვრებისა, რომელიც იყო წმ. მარიამისათვის კეთილი გზის მაჩვენებელი. მათ მიანდვეს თავის ქალი უფალს, ხოლო უფალმა აღირჩია იგი თავის დედად. რომელ ქვეყნიურ სიმდიდრეს შეეძლო ისე ბედნიერ ეყო იგი და გაეხადა სამუდამოდ უნეტარესად!

რა კარგი იქნებოდა, რომ თითოეული ჩვენგანი ეცდებოდეს იცხოვროს კეთილად და კრძალულებით, რომ ამით დავამტკიცოთ ჩვენი სიყვარული ჩვენი შვილებისადმი და სურვილი, რომ ჩვენი შვილები შეიქმნენ ბედნიერნი თავიანთ ცხოვრებაში. მხოლოდ მაშინ ვიქნებოდით ბედნიერნი ჩვენც და ჩვენი შვილებიც! ამინ.

მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ოჩრ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზე“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაბორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გაიცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 „	— „ ორივე გამოცემა 4 „
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ «მწყემსი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ბარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію журналовъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

«მწყემსი»-ს ხელის მომწერლებს სახუქრად 1894 წელში დაერიგებათ მოზრდილი მხატვრობა

თამარ მეფისა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შოთა რუსთველი მიართმევს თამარს თავის უკვდავ პოემას ვეფხის ტყაოსანს. ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით შოთა რუსთველი და თამარის მსლებლებიც იმ დროის ტანთ-საცმელში.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოდის 1894 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის იმავე პროგრამით.

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურღიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი აბაზათ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწუნისსეულ ქარავასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერნი უნდა მიიქცენ «კვალის» რედაქციაში Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთელი.

(3—2)

1894 წლის იანვრიდგან

გამოვა ყოველ თვეიური ქართული ჟურნალი

„მოამბე“

შემდეგის პროგრამმით:

I **სიტყვა-კაზმული მწერლობა** ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II **ისტორია**, ეთოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამსჯავრო პროცესები

III **სასოფლო მეურნეობა:** სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორრესპონდენციები.

IV **კრიტიკა** და **ბიბლიოგრაფია** ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V **ქრონიკა**: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI **ნარკვევი.**

VII **განცხადებანი.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვეით—6 მანეთი, სამის თვეით 4 მანეთი.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი, (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კოტე ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი) ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონიაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმიტრი ერისთავი, ეაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ეოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ, თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. ყარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფრომ მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთავარელიშვილი, შიო მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი), ნინო ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, ჰ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ილია ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოლობერიძე, მ. ყაფიანი, ს. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანასტასია წერეთლისა, გ. წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ალ. ჭიჭინაძე, ალ. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ილია ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვეით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის აღრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ».

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, მატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ეღარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არ ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. აღრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, редакція «МОАМБЭ».

რედაქტორი	გამომცემელი
ალექსანდრე ჭყონია	ნიკოლოზ ღოლობერიძე.

(3—2)

შინაარსი: ვისი ბრალია, რომ ჩვენი ხალხის უმეტესობა კიდევ ვერ გადაეჩვია სხვა და სხვა ამაო და მავნე ჩვეულებათა აღსრულებას გარდაცვალებულების მოხსენების საქმეში?—ქართლ-კახეთის მთელი ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქალაქ თბილისში.—პედაგოგიკის ისტორიიდგან.—პასუხად უსახელო წერილის ავტორს.—დრო გამოიცვალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მშობლების კეთილი ცხოვრება საუკეთესო სამკვიდრებელია შვილთათვის.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозволено цензурою. Кутаисъ, 29 Ноября 1893 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.